მატჩი დონეცკში

დონეცკი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 8 სექტემბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 3:0 (1:0).

“შახტიორი”: ჩანოვი, ვარნავსკი, გორბუნოვი (ვ. მალი), კონდრატოვი, პიანიხი, რუდაკოვი, როგოვსკი, სკოლოვსკი, სტარუხინი, ფედორენკო, საფონოვი (ლ. მალი).

“დინამო”: გაბელია, სულაქველიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე (კოსტავა), დარასელია, ჭილაია, ჟვანია, კერესელიძე (გუცაევი), ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:2.

მეტოქეებმა მაღალ ტემპში, სწრაფი კომბინაციებით დაიწყეს თამაში, რამდენიმე ორმხრივი იერიშის შემდეგ, 28–ე წუთზე, დარასელიას მიეცა ანგარიშის გახსნის რეალური შანსი, როცა იგი პირისპირ აღმოჩნდა მეკარე ჩანოვთან, მაგრამ ეს საუკეთესო შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, 5 წუთის შემდეგ კი სტარუხინმა კარგ პოზიციაში გაიყვანა სოკოლოვსკი და თბილისელთა კარში პირველი ბურთი აღმოჩნდა.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა არაერთი სახიფათო იერიში განავითარეს მარჯვენა ფლანგიდან, სახიფათო მომენტები ჰქონდათ გუცაევს, ჭილაიას, თავაძეს, ჩივაძეს, მათი დარტყმები კი უზუსტო იყო, ამას გარდა, საუკეთესოდ თამაშობდა ჩანოვი.

62–ე წუთზე “შახტიორმა” კვლავ იგივე კომბინაცია გაითამაშა სტარუხინი–სოკოლოვსკი და სტუმრებს მეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან – 2:0.

77–ე წუთზე ლ. მალიმ კარგად ისარგებლა შექმნილი მდგომარეობით, შორი მანძილიდან დაარტყა კარში, რის შემდეგ ანგარიში გახდა 3:0. თბილისელთა ყველა ცდას გაეტანათ თუნდაც ერთი საპასუხო ბურთი, შედეგი არ მოჰყოლია.

თბილისელები საკავშირო ჩემპიონატის მორიგ შეხვედრას 13 სექტემბერს ჩაატარებენ ბაქოს “ნეფთჩისთან”.

“ლელო”, 9 სექტემბერი, 1980 წ.